

## კითხვა #1

თუ ჩარჩო-კონვერტი, ხმის ფარულობას სრულად უზრუნველყოფდა, როგორც ცესკოში განაცხადეს, რატომ კეთდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში აქცენტი იმაზე, რომ ბიულეტენის ქაღალდის სისქე იმგვარი იქნებოდა, უკანა მხარეს გაფერადების კვალი არ ყოფილიყო?

### ცესკოს პასუხი:

კენჭისყრის პროცესში სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენება, პრაქტიკულად სრულად უზრუნველყოფდა ხმის ფარულობას. სპეციალური ჩარჩო-კონვერტი ზომა და დიზაინი, მასში საარჩევნო ბიულეტენის სწორად მოთავსების შემთხვევაში, სრულად ფარავდა/ფარავს საარჩევნო ბიულეტენზე ყველა საარჩევნო სუბიექტს, აგრეთვე ამომრჩევლის მიერ გამოხატულ ნებას (არჩევანს). სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, სწორედ არის ის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ხმის ფარულობას დაწყებული საარჩევნო კაბინიდან დასრულებული ბიულეტენის ხმის მთვლელ აპარატში მოთავსების ჩათვლით.

ქაღალდის სისქეზე ცესკოს მიერ აქცენტი კეთდებოდა, როგორც დამატებითი საშუალება, ხმის მთვლელი აპარატის მიერ ბიულეტენის მიღების ზღვრული პარამეტრების დაცვით, შერჩეულიყო მაქსიმალური სისქის ქაღალდი. უნდა აღინიშნოს, რომ ვენდორი კომპანიის მიერ, რეკომენდაცია გაეწია 162 გრამის ქაღალდს +/- 20% ვარიაციით. ცესკომ კიდევ მეტი დაზღვევის მიზნით, შეუკვეთა რეკომენდირებულზე მეტი სისქის, კერძოდ 190 გრამიანი ქაღალდი.

## კითხვა #2

თუ მარკერის კვალი ქაღალდის მეორე მხარეს არ წარმოდგენდა პრობლემას და ჩარჩო-კონვერტი აზღვევდა ფარულობას, აპარატის მიერ ბიულეტენის უკან დაბრუნების შემთხვევაში რა დამზღვევი მექანიზმი არსებობდა, რომ ამომრჩევლის ნება არ გამჟღავნებულიყო?

### ცესკოს პასუხი:

პირველ რიგში, მთავარი დამზღვევი მექანიზმი ამომრჩევლის მიერ ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატში საარჩევნო ბიულეტენის სწორად მოთავსება იყო. ამასთან, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც, ამომრჩეველს ბიულეტენი ამობრუნებული სახით უნდა მოეთავსებინა ჯერ ჩარჩო კონვერტში, ხოლო შემდგომ, ხმის მთვლელ მანქანაში. ამასთანავე, მარკერის კვალი,

ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იძლეოდა ამომრჩევლის გამოხატული ნების (არჩევანის) იდენტიფიკაციის საშუალებას. საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე არ ჩანს/ჩანდა საარჩევნო სუბიექტების მონაცემები და რიგითი ნომრები.

### **კითხვა #3**

ცესკოს განცხადებით, საარჩევნო ბიულეტენის სწორად მოთავსების შემთხვევაში, შეუძლებელი იყო ხმის ფარულობის დარღვევა, ანუ თუ ფარულობა მაინც დაირღვა ე.ი. ამომრჩეველმა ვერ მოათავსა სწორად ბიულეტენი. რა ინსტრუქციები დაირღვა ხმის მიცემის პროცედურისას?

#### **ცესკოს პასუხი:**

სწორად მოთავსებაში იგულისხმება ის, რომ ამომრჩეველმა ისე მოათავსოს საარჩევნო ბიულეტენი სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში, რომ სპეციალური ჩარჩო-კონვერტი სრულად ფარავდეს საარჩევნო ბიულეტენზე აღნიშნული საარჩევნო სუბიექტების მონაცემებს და რიგით ნომრებს, საარჩევნო ბიულეტენის მასში მოთავსების შემთხვევაში. სპეციალური ჩარჩო-კონვერტი მჭიდროდ მიუახლოვოს ხმის მთვლელ აპარატს და მანამდე არ მოაცილოს სპეციალური-ჩარჩო კონვერტი აპარატს, სანამ აპარატი არ დაადასტურებს ბიულეტენის მიღებას.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ საუბარი არის მხოლოდ ბიულეტენის მეორე მხარეს მარკერის კვალის არსებობაზე, რაც წარმოადგენს ტექნიკურ საკითხს და არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ამომრჩევლის ხმის ფარულობის დარღვევას.

### **კითხვა #4**

ხმის მთვლელი აპარატის ზედამხედველები ამომრჩეველს ართმევდნენ ბიულეტენს და თავად აცურებდნენ მანქანაში და ამ პროცესშიც ჩანდა გაფერადებული წრის კვალი ბიულეტენის უკანა მხარეს. ჰქონდათ თუ არა ინსტრუქცია ხმის მთვლელი აპარატის ზედამხედველებს როგორ შეეცურებინათ სწორად ბიულეტენი?

#### **ცესკოს პასუხი:**

კომისიის წევრებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები/სწავლება. ამ ფუნქციას, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ახორციელებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან აუცილებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის ან მისი მოადგილის დავალებით - კომისიის სხვა წევრი. პროცედურის თანახმად, ბიულეტენს ხმის მთვლელ მანქანაში ათავსებს თავად ამომრჩეველი. თუ ის ვერ

ახერხებს/ახერხებდა აღნიშნულს, ასეთ შემთხვევაში, მას სათანადო დახმარებას უწევდა ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი ინსტრუქციის შესაბამისად.

### **კითხვა #5**

თქვენი წინასაარჩევნო პირობა ბიულეტენის ქაღალდის სისქის გაზრდის შესახებ, გულისხმობდა, რომ არჩევნებზე იქნებოდა იმგვარი ქაღალდი, რომელზეც უკანა მხარეს მარკერის კვალი არ გადავიდოდა და რატომ ვერ მოხერხდა ეს?

### **ცესკოს პასუხი:**

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცესკოს ქაღალდის შერჩევას ხელმძღვანელობდა ვენდორი კომპანიის რეკომენდაციით და ქაღალდის პარამეტრები აუცილებლად უნდა მორგებოდა მთვლელი აპარატის ჭრილს. ამის გათვალისწინებით, ყველა წინა პილოტზე თუ სწავლებებზე გამოყენებულ ქაღალდზე უფრო სქელი ქაღალდი იქნა შერჩეული.